



# ქალთა ხმა

## საინფორმაციო ბიულეტენი #7

2017 წლის ივლისი

მომზადებულია პროექტის  
„ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში

მხარდამჭერი - ორგანიზაცია



ნომრის თემა

## მედიატორობა, ფასილიტაცია - უმოკლესი გზა ძალადობის პრევენციისკენ

„ფასილიტაცია“ (facilitate) ინგლისური სიტყვა და პროცესის გაიოლებას, დახმარებას ნიშნავს. იგი გულისხმობს პროცესის წარმართვას მესამე ნეიტრალური მხარის მონაწილეობით. პროცესზე პასუხისმგებელ პირს კი ეწოდება მედიატორი, ფასილიტატორი.

კონფლიქტების მართვაში ფასილიტაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ბევრი უმართავი სიტუაცია და დაპირისპირება ფასილიტატორის დახმარებით მოგვარებულია. ამიტომ ძალადობის პრევენციაზე საუბრის პარალელურად აუცილებელია მედიატორობასა და ფასილიტაციაზე ვისაუბროთ, რადგან ეს პირდაპირი გზაა ნებისმიერი ძალადობის დასაძლევად. ოჯახური კონფლიქტის შემთხვევაში ხშირად გარეშე პირის ჩარევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, გარედან ნათქვამმა ერთმა სიტყვამ შესაძლოა მთლიანად პროცესი შეცვალოს.

თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ერთმა პატარა შეცდომამ, შესაძლოა ნეგატიური შედეგები მოგვცეს.

ფასილიტაცია ნამდვილად ახდენს პროცესის გაიოლებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა სტანდარტი დაცულია. მედიატორი ნებისმიერი ადამიანი ვერ იქნება. პირი, რომელიც კონფლიქტურ სიტუაციებში მედიატორობის პასუხისმგებლობას იღებს, უნდა გრძნობდეს პროცესის სირთულეს და გათვლილი ჰქონდეს ყველა მოსალოდნელი შედეგი. ჩვენს ისტორიას თუ გადავხედავთ, საქართველოში მედიატორობის ინსტიტუტი უძველესი დროიდან საკმაოდ ძლიერი და პოპულარული ყოფილა. ფშავ-ხევსურეთში, სვანეთში

ხვეისბერი, სოფლის თავი ეწოდებოდა ადამიანს, რომელიც მთელ თემში გამორჩეული იყო გონიერებით, ნიჭიერებით და რეპუტაციით. ასეთი ადამიანები ხშირად მომრიგებლის როლს ასრულებდნენ სხვადასხვა ოჯახურ კონფლიქტში. მათ სიტყვას განსაკუთრებული ძალა ჰქონდა - თუ მოძალადე სოფლის თავის წინაშე ფიცს დადებდა, რომ მსგავს დანაშაულს არ ჩაიდენდა, სიტყვის გატეხვის შეთხვევაში, მთელი თემიდან გარიყული ხდებოდა.

მსგავსი ტრადიციული ელემენტები საქართველოს ბევრ კუთხეში საკმაოდ პოპულარული ყოფილა. სვანეთში არსებობდა ავტორიტეტული ადამიანების ჯგუფი, რომელიც ნებისმიერ დაპირისპირებას, მათ შორის ოჯახურ კონფლიქტსაც აგვარებდა.

სამწუხაროდ, დროსთან ერთად ამ ტრადიციებმა აქტუალობა დაკარგა და თითქმის გაქრა. მათ ნაცვლად კი ოჯახური კონფლიქტების მოგვარების სხვა თანამედროვე სტანდარტები ინერგება.

ძალადობის პრევენციაზე საუბრის დროს ფონდი „სოხუმის“ პრაქტიკაში სხვადასხვა ჯგუფთან მუშაობისას ბევრი ისეთი რეკომენდაცია გვიპოვია, რომელიც სწორედ ამ ტრადიციული ელემენტების გაძლიერებას გულისხმობდა.

ადგილობრივ თვითმმართველობებთან გამართულ ვორკშოპზე, სადაც ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციულ მექანიზმები განიხილება, ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის სოფლის თემის წარმომადგენელი ასეთ ისტორიას გვიყვება:

*„მე ყოველთვის მივტირი იმ დროს, როცა „სოფლის თავს“ შეეძლო და ძალიან კარგადაც გამოსდიოდა ოჯახური კონფლიქტების მოწესრიგება. სამწუხაროდ, სოფლის გამგებლებს ყველა ფუნქცია ჩამოგვერთვა და ოჯახური კონფლიქტები პატრულს გადააბარეს. სანამ პატრული სოფელში შემოვა და სიტუაციას გაარკვევს, ზოგჯერ ყველაფერი დამთავრებულია. არავის აწყობს შემაკავებელი ორდერები, სასამართლოები და ადგილზევე მთავრდება ყველაფერი: არაფერი მომხდარა და მორჩა! პატრული მიდის, იმ ოჯახში კი იგივე სიტუაცია გრძელდება.*

*ჩემი სოფელი საკმაოდ დიდია. ყველა ოჯახი კარგად ვიცის. სოფელში არაფერი იმალება და ვის ოჯახშია კონფლიქტური სიტუაცია, ამაზე ბევრი ინფორმაცია მაქვს. ერთი ძალიან კარგი ოჯახი ცხოვრობს. სანამ მამა ცოცხალი იყო, კი იყო ამ ოჯახში სიმშვიდე. მაგრამ ეს კაცი ინფარქტით სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა. დარჩა დედა და ორი ვაჟი, ერთი - ცოლშვილიანი. მალე მეორემაც ცოლი ითხოვა და მალევე დაწყო კონფლიქტები. დედამ დაიჩემა, ქმარი არ მყავს, ორივე შვილი ჩემთან უნდა იყოსო. სახლ-კარი დიდი ჰქონდათ, მაგრამ მაინც ვერ იყოფდნენ.*

*დედა ხან ერთი შვილის მხარეს იყო, ხან მეორეს ედგა გვერდით.*

*შემდეგ ადგნენ და სახლი გაანაწილეს. პირველი რძალი ზედა სართულზე ავიდა: ამ სახლში პირველი მე შემოვედი და ამის უფლება ნამდვილად მაქვსო. ამაზე მეორე ძმა გადაირია, ზევით შენმა შვილებმა იცხოვრონ და ჩემი შვილები სინესტეში ვაცხოვრო, სადაური სამართალიაო. ძმა ძმას ეჩხუბებოდა, რძალი - რძალს, დედა ორივეს ერთად. მოკლედ, დღე არ ჩაივლიდა ამ ოჯახში ყვირილისა და წივილ-კივილის გარეშე. მეზობლებს აკრძალული ჰქონდათ შესვლა, თავიდანვე განუცხადეს: ჩვენი საქმეა და ნურავინ ჩაერევას.*

*ერთ დღეს ჩემი მეგობარი მირეკავს და მეუბნება: სირცხვილია, რაც იმ სახლში ხდება. ჩაერიე ამ ამბავში, იქნებ რამე მოახერხო, ძმები ერთმანეთს ხოცავენ და არავინ არ არის მშველელიო. მივედი. ცალ-ცალკე სამივე მხარეს დაველაპარაკე და*

მოვუსმინე. სიტუაცია მართლაც რთული იყო. მათი ერთად ცხოვრება არ შეიძლებოდა. ერთმანეთს უნდა გარიდებოდნენ. თუ ერთ ძმას ვეტყოდი უნდა წახვიდე ოჯახიდან, ეს არ გამოვიდოდა ისე უნდა მომეხერხებინა, რომ ორივე გასულიყო ოჯახიდან.

სოფელში რამდენიმე მიტოვებული სახლია, ერთის პატრონი საზღვარგარეთ ცხოვრობს, მეორე მეპატრონე 15 წელია რუსეთშია. მათი ტელეფონის ნომრები გავიგე და სასწრაფოდ დაველაპარაკე. მიტოვებული სახლი მალევე ფუჭდება. ხან საქონელი შედის, ხან ღორები აფუჭებენ ყველაფერს. ვუთხარი: მე ისეთ ოჯახს შევუშვებ, სახლსაც რომ მიხედავენ და ეზოსაც. სანამ იქნებიან, თვითონ მოიხმარენ, მერე მაინც თქვენი იქნება, თქვენ ხომ არაფერი გეკარგებათ-მეთქი. ერთი მაშინვე დამეთანხმა. მეორემ სიხარულით მითხრა: ჩვენ იქ დიდი ხანი ჩამომსვლელი არა ვართ, თუ ვინმე მოუვლის, პირიქით, საჩუქრებსაც გამოვუგზავნი და მადლობელი დაგრჩებითო.

ერთი სიტყვით, გავაგრძელე მოლაპარაკება - ძმები თავიანთი ოჯახებით ამ სახლებში გავანაწილე. დედა დარჩა ადგილზე. ცოტა ხანი კი ემდუროდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათი შერიგებაც მალევე მოვახერხე. ახლა ყველა კარგადაა - ხან ერთი მეპატიჟება სუფრაზე, ხან მეორე და მეც კმაყოფილი ვარ, რომ ოჯახები გადავარჩინე“.

თუ ფასილიტაციას და ფასილიტატორის თვისებებს თეორიულად შევისწავლით, აღმოვაჩინებთ, რომ თემის რჩეული ადამიანები პასუხობენ შუამავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს. სწორედ ამიტომაც გამოიყენებოდა ეს რესურსი ოჯახური კონფლიქტების მოსაწესრიგებლად.

მაგრამ უკვე არც ხევისბერები გვყავს და არც სოფლის თავები, ვინც შეიძლება მედიატორის როლი შეასრულოს, ვინ არის შუამავალი, ვის შეიძლება ეს ფუნქცია დავაკისროთ:

ფონდი „სოხუმის“ ქეისებში ერთ ასეთ საინტერესო მაგალითს ვაწყდებით:

„ღამის 12 საათი სრულდებოდა. დასაძინებლად ვემზადებოდი. ამ დროს ტელეფონმა დარეკა. მეზობელი ქალი აღმოჩნდა, ტირილით მეუბნებოდა, ჩემი ქმარი სულ გაგიჟდა, მთვრალი მოვიდა და გვაწიოკებს, სახლში ყველაფერს ლეწავს, ძალიან გთხოვ, მოდი როგორმე, შენი ძალიან დიდი პატივისცემა აქვს და იქნებ მოგისმინოსო. ძალიან შევწუხდი. უარი, რა თქმა უნდა, ვერ ვუთხარი. ჩემს ქმარს ვუთხარი, რომ ნემსის გასაკეთებლად გადავდიოდი მეზობელთან. სიმართლე რომ მეთქვა, ვიცოდი, არ გამიშვებდა. სხვისი ოჯახის ამბავი რა შენი დასალაგებელიაო, მეტყოდა.

წავედი, ოჯახიდან საშინელი გინება და ყვირილი ისმოდა. მაინც დავიძახე და თან შევედი. ვითომ არაფერი გამიგონია. შესვლისთანავე სულ სხვა ამბავზე დავიწყე საუბარი. როგორ აღმოაჩნდა ერთ ჩემს ახლობელს სიმსიენე, რა დღეში იყო მისი ოჯახი, როგორ ტიროდა ქმარი, რომელსაც სამი შვილი ყავდა. ვხედავდი, თანდათან როგორ დაწყენარდა. ნელ-ნელა ბავშვებიც შემოვიდნენ, რომლებიც გარეთ იყვნენ გახიზნული. მერე ხუმრობით შევაპარე, ცოტა ბევრი მოგსვლია დალევა, მაგრამ არ უშავს, ყველაფერი შეიძლება მოხდეს-მეთქი და გატეხილი ჭურჭლის ალაგება დავიწყე. მალე ცოლი და ბავშვებიც ჩაერთნენ ამ პროცესში. ნახევარ საათში ვახშამიც გააწყვეს. უკვე ყველა დაწყენარებული იყო. წამოსვლის წინ ორივეს ძალიან მშვიდად ვთხოვე, თან ორივეს - რომ რომელიმე არ დამედანაშაულებინა: ის, რაც მოხდა, არაფერია, ასეთი რამ ყველას შეიძლება შეემთხვეს, მსგავსი ყვირილი თქვენს ოჯახში

რომ გავიგო, ძალიან მეწყინება. ნუ იზამთ ამას. თქვენ ხომ საუკეთესო შვილები გყავთ და არაფერი გაკლიათ.

ისე კეთილად დამემშვიდიბნენ, თითქოს არაფერი მომხდარა. მას შემდეგ მისმა მეუღლემ კიდევ ერთხელ დამირეკა დღეს ნასვამი მოვა და ვაითუ იგივე გაიმეოროსო. მაშინვე წავედი. ეზოში ხმამაღალი ყვირილით შემოვიდა. მეუღლემ ანიშნა, სტუმარი გვყავს სახლშიო. მეც ვითომ არაფერი, საუბარი გავაგრძელე. ცოტა ხანში ბოდიში მოიხადა, უნდა დავისვენოო და ოთახიდან ჩუმად გავიდა. ამის მერე იმ ოჯახიდან ხმამაღალი ყვირილი არ გამოსულა.“

ამ ისტორიის მთავარი გმირი ფონდი „სოხუმის“ ერთ-ერთი აქტივისტია. ფონდის აქტივისტები საკუთარ თემში ცდილობენ მედიატორის ფუნქციის აღებას და ოჯახური კონფლიქტების მართვაში ჩართვას. ეფექტური ფასილიტაციის უამრავი მაგალითი არსებობს. ქეისებში ხშირად ვხვდებით წარმატებული მედიატორობის რეალურ ისტორიებს.

„თეკლა და გიორგი ჩემს მეზობლად ცხოვრობდნენ. მართალია, სიყვარულით დაქორწინდნენ, მაგრამ თავიდანვე სულ კონფლიქტი ჰქონდათ. ორივე ძალიან იმპულსური და ფეთქებადი ადამიანია. დღე არ გავიდოდა, ერთმანეთისთვის სულ უმნიშვნელო წვრილმანზეც ნერვები არ მოეშალათ. არასოდეს ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ. მშობლები სოფელში გადავიდნენ საცხოვრებლად, იქნებ მარტო უკეთესად ააწყონ ურთიერთობაო. არც ამან უშველა. ბოლოს იქამდე მივიდნენ, რომ მათთან შესულ მეზობლებსაც კი არ ერიდებოდნენ. მუდმივად კატეგორიული ტონით საუბრობდნენ ერთმანეთთან: არ მინდა, არ გავაკეთებ. გააკეთებ იმიტომ, რომ მე მინდა. მე ასე არ მინდა. სულ „მე, მე“ ისმოდა მათი ოჯახიდან. ვფიქრობდი, ახალგაზრდები არიან, გაუვლით და დაწყნარდებიან-მეთქი. ხუთი წელი ასე იცხოვრეს. არაფერი შეცვლილა. ერთ დღეს თეკლამ ყავაზე დამპატიჟა. ორივე ცოლ-ქმარი კარგ ხასიათზე დამხვდა, ყავა დავლიეთ. რამდენიმე წუთში სულ უმნიშვნელო რამეზე დაიწყეს კინკლაობა.

- საზამთრო ძალიან გაგიცივებია, ცოტა ადრე ვერ გამოიტანე? - ამბობს გიორგი.

- საზამთრო ცივი უნდა იყოს - პასუხობს თეკლა ჯიუტად.

- ასე ცივი არ უნდა იყოს! - ხმას უწევს გიორგი.

- მე ასეთი მინდა! - უკვე ისტერიკებშია თეკლა.

აზრზე მოსვლა ვერ მოვასწარი, ჩემს თვალწინ ისეთი საშინელი სიტყვებით მიმართავდნენ ერთმანეთს, მოსმენა აღარ მინდოდა. გიორგი კარის ჯახუნით გარეთ გავარდა, თეკლა კი ისტერიული ტირილით მიყვებოდა, როგორი საშინელი ხასიათი აქვს მის ქმარს, როგორ უმწარებს სიცოცხლეს. იმ წუთას მხოლოდ მოვუსმინე და უხმოდ, ყოველგვარი კომენტარის გარეშე გავედი.

გადავწყვიტე, მათ ცხოვრებაში ჩავრეულიყავი. ხუთი წელი ცოტა დრო არ არის. შვილი არ ჰყავდათ და ეს კიდევ უფრო ართულებდა სიტუაციას. რამდენჯერმე ხან გოგოს მშობლები ჩაერივნენ, ხან ბიჭის მშობლები მოვიდოდნენ და ასე ხელოვნურად აკოწიწებდნენ მათ ურთიერთობას.

ერთ დღესაც თეკლა სახლში ყავაზე დავპატიჟე. მაშინვე მითხრა, რომ ქმარზე გაბრაზებული იყო და მორიგი ისტერიკები გამართა. თან მიყვებოდა, როგორ გააგრძელებდა ამ ისტერიკებს საღამოს, როცა გიორგი სახლში დაბრუნდებოდა. მოვუსმინე. შემდეგ სიტყვა გავაწყვეტინე და პირდაპირ ვუთხარი: თეკლა, შვილო, შემთხვევით არ დაგიძახე. ხუთი წელია ასე ცხოვრობთ, არაფერი იცვლება. ხომ

ხედავთ, ერთმანეთს ვერ ეწყობით. რატომ ტანჯავთ ერთმანეთს, თავი რატომ არ გეცოდებათ, დაფიქრდი და გაცილდით ერთმანეთს. დამიჯერე, ასე ჯობია. პირველი რეაქცია საშინელი იყო: მონუსხულობით გაშეშებული მომაჩერდა, ხომ არ გაგიჟდი, ეს როგორ მაკადრე. მე ოჯახს არ დავანგრევო.

- თქვენი ოჯახი დიდი ხანია დანგრეულია, შვილო, ხუთი წელია ხელოვნურად ცდილობთ გაამაგროთ ურთიერთობა, მაგრამ ერთმანეთი დაავადდმყოფეთ, ორივეს საშინელი ისტერიკა გაქვთ. არაფერი გამოგისწორებიათ. ვინ იცის, იქნებ შვილიც იმის გამო არა გყავთ, რომ მუდმივად სტრესულ სიტუაციაში ხართ. - ეს ყველაფერი საკმაოდ მშვიდად, აუღელვებლად ვუთხარი. რამდენიმე წუთი დაბნეული მიყურებდა. მერე უხმოდ გავიდა.

ერთი კვირა არც თეკლა და არც გიორგი არ მესალმებოდნენ. მივხვდი, რომ ძალიან განაწყენებულები იყვნენ. ზუსტად ორი კვირის შემდეგ თეკლა გახარებული შემოვარდა სახლში და მომახალა: - როგორც იქნა, გვეცილდით ერთმანეთს. თქვენ მართალი იყავით. მაპატიეთ, მაშინ გაგინაწყენდით. ჩემს დასთან თბილისში მივდივარ, სამსახური გამომიჩნდა, ხვალვე მუშაობას დავიწყებ.

ძალიან გამიკვირდა. მერე საკუთარ თავსაც კი ვადანაშაულებდი, იქნებ არასწორად მოვიქეცი, იქნებ არ უნდა ჩავრეულიყავი-მეთქი. მაგრამ არა. ერთ წელიწადში გიორგიმ ცოლი ითხოვა. სულ სხვა ადამიანი გახდა. მშვიდად და წყნარად ცხოვრობდნენ. მერე მეზობელმა ამბავი მოიტანა თბილისიდან: თეკლა ფეხმძიმედ ვნახე. გათხოვილა და ძალიან ბედნიერი ჩანდა, ყველანი მოგიკითხათო. ასეა - განქორწინება ბევრს კატასტროფა ჰგონია და ვერ წარმოუდგენია, რომ შეიძლება ცხოვრების შეცვლა.“

როცა კონფლიქტი წლების განმავლობაში გრძელდება, მხარეები იმდენად ეგუებიან ამ მდგომარეობას, რომ მხოლოდ ერთმანეთის შეურაცხყოფაზე არიან ორიენტირებულნი და გამოსავალს არც ეძებენ. ასეთ დროს მედიატორი წამალივითაა. შესაძლოა, მისმა სიტყვამ კონკრეტულ სიტუაციაში ნაკლებად იმოქმედოს, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მხარეებს სწორი მიმართულებით ანალიზის გაკეთების საშუალება მისცეს.

ქალი-მედიატორები, რომლებიც ამ ისტორიებში მთავარ როლს თამაშობენ, ხშირად აღნიშნავენ, რომ ფასილიტაცია უნდა შეისწავლო და ამისთვის საჭირო თვისებები უნდა განავითარო.

ფონდი „სოხუმის“ აქტივობებზე წარუმატებელი ფასილიტაციის მაგალითებსაც ხშირად ვისმენთ, რაც ნათლად გვიჩვენებს მედიატორობის დროს რა არ უნდა გავაკეთოთ მარიამ გ. ასეთ ისტორიას გვიყვება საკუთარი წარსულიდან:

„ჩემი მეგობარი ანი გათხოვდა. თავიდან ყველა კმაყოფილი იყო. ქორწილში ხელისმომკიდედ მომიწვიეს. ერთი წლის შემდეგ ბავშვი შეეძინათ. ერთ დღეს ანიმ ჩუმად გამანდო თავისი პრობლემა - ეჭვიანობდა, მაგრამ ჯერ ვერაფერი „აღმოუჩინა“. ერთ დღეს ბრმა ნაწლავის ოპერაციის გამო საავადმყოფოში მოვხვდი. პალატაში ჩემთან ერთად ერთი ქალბატონი იწვა. ანამ და ნიკამ საავადმყოფოში მომინახულეს. ნიკამ, გარეთ დავიციდი, თქვენ ისაუბრეთო და მალევე დაგვტოვა. არაფერი ცუდი არ შემინიშნავს. როცა სტუმრები წავიდნენ, ქალი, რომელიც გვერდით მეწვა, ცნობისმოყვარე სახით მომაჩერდა და მკითხა: - ვინ არის ეს ბიჭი, შენ რომ მოგაკითხა. - მეგობრის ქმარი, - ვუპასუხე მე. სულ მალე ნიკაზე ასეთი ამბავი მიაშმო: „ხუთი წელია, საყვარელი ჰყავს, ჩემი ზედა მეზობელი. ის ქალი თავის დროზე ქმარს გასცილდა მის გამო. მერე თქვეს, ნიკას სხვა გოგო უთხოვიაო. რამდენიმე თვეში ისევ გამოჩნდა. დღემდე იმ გოგოსთან დადის. თურქეთში ერთად იყვნენ დასასვენებლადო.“

მაშინვე ანას მონაყოლი გამახსენდა: ნიკა სამსახურიდან თურქეთში გაუშვეს ერთი კვირითო. არაფერში ეჭვი არ შემიტანია.

ამ ამბავმა მოსვენება დამიკარგა, ჩემს საუკეთესო მეგობარს ამ ამბავს ვერ დავეუმალავდი. როგორც კი საავადმყოფოდან გამომწერეს, ანა სახლში დავიბარე და პირდაპირ სიტყვა-სიტყვით მივახალე: შენს ქმარს საყვარელი ყოლია, თურქეთში დასასვენებლად თურმე, მასთან ერთად დადის. შენ კი რა, ვერაფერს ხედავ. თუ ეს სიმართლეა, მერე შენ რას იზამ?

რა თქმა უნდა, ამ ამბავს დიდი ალიოაქოთი მოყვა. ნიკა დიდხანს ამტკიცებდა საკუთარ უდანაშაულობას, მე მადანაშაულებდა. მაგრამ მალე ყველაფერი გაირკვა. ანამ ღალატი არ აპატია და გაცილდა. ნიკას საყვარელი საზღვარგარეთ წავიდა (ამბობდნენ, იძულებული იყო). თვითონ ნიკამ, სხვა ქალი ითხოვა რამდენიმე წელიწადში.

ანას დედა დღემდე მემდურის: რას ატარტარებდი ენას, ვინ გეკითხებოდა. ვითომ დაალაგე ყველაფერი. ნიკას მოწყინდებოდა ის გოგო და ოჯახს დაუბრუნდებოდაო.

არადა ანა უკვე ეჭვიანობდა მასზე და აუცილებლად გაიგებდა, მე უბრალოდ ცოტა ვიჩქარე.

ამის შემდეგ სხვის ამბავში არასოდეს ვერევი, არც ცუდად, არც კარგად. რა ჩემი საქმეა. უბრალოდ არ გამომდის.“

ამ ისტორიაში მკაფიოდ ჩანს ყველაზე დიდი შეცდომა, რომელიც მედიატორს არ ეპატიება - „მაშინვე მივახალე“. ეს ყველაზე არასწორი სტრატეგიაა. ბევრი რამ შეიძლებოდა სხვანაირად შეცვლილიყო. მედიატორს, რომელიც ცდილობს ურთიერთობის დალაგებას, ყველა ნაბიჯზე მოსალოდნელი შედეგი უნდა ქონდეს გათვლილი. მხარეებს უნდა აუხსნას, რომელი გზით წასვლა ჯობს და რატომ. შენ რას სთავაზობ და რატომ?

ხშირად, სიმართლის მიწოდების ფორმებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ინფორმაცია, რომლის სისწორეშიც თვითონ არა ხართ ბოლომდე დარწმუნებული, არ უნდა გამოიყენოთ კომუნიკაციისას. მიეცით ადამიანებს დაფიქრების საშუალება.

- თუ ეს სიმართლეა, შენ რას იზამ? - ეს ყველაზე ცუდი შეკითხვაა ასეთ დროს. ადამიანი მიღებული ინფორმაციით შოკშია და თქვენ ამ რადიკალური შეკითხვით „აიძულებთ“ მას ყოველგვარი ლოგიკის გარეშე, ცხელ გულზე მიიღოს გადაწყვეტილება.

თუ სიტუაციის ანალიზის უნარი არ გაქვთ, უმჯობესია თავი შეიკავოთ. თქვენ ფასილიტაცია არ გამოგივათ.

## როგორ გავხდეთ მედიატორი. რა უნდა ვიცოდეთ?

### ცოტა რამ თეორიული და პრაქტიკული მასალიდან

- პირველი და მთავარი აუცილებელი პირობა, რომელიც ფასილიტაციის ეფექტურობას განსაზღვრავს, არის თვითონ პიროვნება. ის, რომ მედიატორი უნდა იყოს **ორივე მხარისთვის მისაღები, ავტორიტეტული ფიგურა**, რომელიც ნდობითა და პატივისცემით სარგებლობს. თუ თქვენ თვლით, რომ ეს აუცილებელი თვისება ნამდვილად გაქვთ, შეგიძლიათ დაეხმაროთ ადამიანებს პროცესის გაიოლებაში.
- მედიატორს აუცილებლად უნდა ჰქონდეს **საკუთარი ემოციების მართვის უნარი**. ეს ყველაზე მთავარი პირობაა და შედეგებსაც განსაზღვრავს. სიმშვიდე ისეთივე გადამდებია, როგორც სიბრაზე. თქვენი ყვირილის არავის ეშინია. პირიქით - სიმშვიდე

საუკეთესო იარაღია ნებისმიერი ფორმის სიბრაზის დასამარცხებლად. იმ ადამიანებთან, ვისთანაც კონფლიქტის დასარეგულირებლად მიდიხართ, თქვენი ემოციები არ უნდა ჩანდეს. უნდა იგრძნონ, რომ მათი მხარდამჭერი, გულშემატკივარი ხართ და რომ შედეგები თქვენთვის სულ ერთი არ არის. შუამავალი არასოდეს ხმარობს ტერმინებს: მე თქვენთვის ვსაუბრობ, თქვენთვის კარგი მინდა, თუ არ დამიჯერებთ და არ შერიგდებით, კისერიც გიტეხიათ...

- შემდეგი აუცილებელი პირობა, რომელიც ფასილიტაციის ეფექტურობისთვის აუცილებელია, ეს არის **სწორად შერჩეული დრო**. უნდა ვიცოდეთ, როდის, რა დროს უნდა ჩავერიოთ. ის მეთოდები, რომლებიც სხვა დროს ეფექტურად გამოგიყენებიათ, შესაძლოა წარუმატებელი აღმოჩნდეს. მიზეზი მარტივია: თქვენ ცუდი დრო შეარჩიეთ, ან უბრალოდ საჭირო დროს არ დაელოდეთ.

თუ კონფლიქტური სიტუაცია ოჯახში ჯერ კიდევ მართვადაა და მხარეებს ერთმანეთის მოსმენის უნარი აქვთ, თქვენი ჩარევა შესაძლოა დროულიც იყოს, აფეთქება შეიძლება თავიდან ააცილოთ.

თუ კონფლიქტი უკვე უმართავია, მხარეები გავარვარებული ვულკანივით ბოღმას ანთხევენ ერთმანეთის მისამართით, პროცესის გაიოლების მცდელობა წარუმატებელია. ასეთ დროს ყველაზე ეფექტური ნაბიჯი იქნება, მხარეები დავამოროთ ერთმანეთს, თუნდაც დროებით. რადგან როცა ემოციები წინა პლანზეა, გონება მას ემორჩილება. გარკვეული პერიოდი უნდა გავიდეს, რათა ნეგატიური ემოციები დაილექოს და მხარეებს ანალიზის უნარი დაუბრუნდეთ. თუ თვლით, რომ ახლა სწორედ **საჭირო დროა**, მაშინ შეგიძლიათ იმოქმედოთ.

- მედიატორს უნდა **შეეძლოს მოსმენა**. ნებისმიერი ოჯახური კონფლიქტი, თავისი მიზეზებიდან გამომდინარე, განსხვავებული და რთულია. ხშირად გაუგებარიც კი ხდება, რატომ უჭირთ ადამიანებს ერთმანეთთან ურთიერთობა, რატომ საუბრობენ სხვადასხვა ენაზე. იმიტომ, რომ ერთმანეთის მოსმენის უნარი დაკარგეს. მედიატორის ფუნქცია სწორედ ის არის, რომ ორივე მხარის მოსმენა იცოდეს, ხშირად ეს მოსმენა მომაბეზრებელი და მოსაწყენიც არის, რადგან ერთდაიგივე ტექსტები რამდენჯერმე მეორდება. ორივე მხარე ცდილობს, დაიცვას საკუთარი ინტერესები, დაამტკიცოს საკუთარი სიმართლე - თქვენ უნდა მისცეთ მათ საშუალება, გამოთქვან ყველაფერი, ბოლომდე დაიცალონ. თუ მიგაჩნიათ, რომ ამისთვის მზად ხართ, თქვენ უკვე ფლობთ მედიატორისთვის საჭირო თვისებას.

- თუ **თქვენ იუმორის გრძნობა** გაქვთ, ეს თვისება პროცესის გაიოლებაში ნამდვილად დაგეხმარებათ. მაგრამ განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ. ზომიერება უცილებელია. როცა ადამიანებს კონფლიქტი აქვთ, თავში საშინელი აზრები უტრიალებთ. ანეკდოტების, ან სახუმარო ისტორიების მოყოლისას მეტად კორექტული იყავით.

- **ინფორმირებულობა** და კომპეტენტურობა ნებისმიერი მოდერატორისთვის ხელისშემწყობი ინსტრუმენტია. რაც მეტი ინფორმაცია გაქვთ, მით უფრო მეტი ალტერნატივის შეთავაზება შეგიძლიათ. ეს თქვენს ავტორიტეტს და თქვენს მიმართ ნდობის ხარისხაც კიდევ უფრო აამაღლებს.

თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ყველა ეს თვისება გაქვთ, ან შეისწავლით, ან განავითარებთ, თქვენ უკვე მზად ხართ მედიატორობისთვის.

დაეხმარეთ, კონფლიქტიურ ოჯახებს პროცესის გაიოლებაში!

**მიმართეთ ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრებს,  
მიიღეთ უფასო ფსიქოლოგიური და იურიდიული კონსულტაციები**

ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი - მაგლობლიშვილის ქ. 6

579 93 28 28

ხონის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი - სამხედრო დასახლება, კორპუსი 98

579 70 84 84

571 85 42 42

სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი - ბარათაშვილის 13

579 27 94 94

571 85 39 39

ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი - ახალი რაიონი, გაგრის ქუჩა 10/9

597 89 25 25

597 15 72 74

ხურჩა/კოკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი - სოფელი ხურჩა

574 96 27 27

571 76 48 48

წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრი - ახალი დასახლება, 9 აპრილის ქუჩა 3/17

597 54 92 92

592 81 68 68

წარმატებებს გისურვებთ!